ტეტიას მოთქმა

ნეტა რა წყალში ჩავვარდე,
რით გამოვკვებო ცოლ–შვილი?
ი დასაქცევმა სეტყვამა
კარს მომაყენა შიმშილი!..
რას ვიფიქრებდი ბეჩავი? –
ცა კამკამებდა ლურჯადა,
სამი დღის ყანა, სამკალი,
ზედ კარზე მედგა ბურჯადა.
უცებ გამოჩნდა პაწაწა,
მუშტის ოდენა ღრუბელი
მერე გადიდდა, იგრგვინა
და წამოვიდა სულ ბნელი...
დასავლეთიდან დაჰბერა,
წამოგვაყარა კოხია,
ბალღები დამიწიოკა,
მოაძებნინა ქოხია,
ისროდა მუშტის ოდენსა
და გრიალებდა წყეული,
მირეგ–მორეგვა ხე–ხილი,
გაწყალდა ანაზდეული!..
ყანა წამიხდა, რა ყანა,
ავ თვალს არ ენახვებოდა,
თავ–თავს ქვეშ იზნიქებოდა,
სიმძიმისაგან წვებოდა!..
ნეტა რა წყალში ჩავვარდე,
რით გამოვკვებო ცოლ–შვილი? ---
ი დასაქცევმა სეტყვამა –
კარს მომაყენა შიმშილი!..

1883 წ.